ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 9

2012 წლის 9 მარტი

ბორჯომის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, და 42-ე მუხლის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების დებულება თანახმად №1 დანართისა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 18 სექტემბრის №28 დადგენილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. ქურდაძე

დანართი 1

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ბორჯომის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების სტატუსს, საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას, ფუნქციონირების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს.

2. ბორჯომის თვითმმართველი ერეთეულის (შემდგომში – თვითმმართველი ერთეული) ტერიტორიული ორგანოები (შემდგომში – ტერიტორიული ორგანო) შექმნილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე.

3. ტერიტორიული ორგანო თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია გამგებლის და საკრებულოს წინაშე.

4. ტერიტორიული ორგანოს თანამდებობის პირები გაწეული მუშაობის შესახებ 3 თვეში ერთჯერ ანგარიშს წარუდგენენ გამგებელს და საკრებულოს.

5. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

6. ტერიტორიული ორგანოს კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ამტკიცებს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო.

7. ტერიტორიულ ორგანოს აქვს ბლანკი, ტვიფრი და ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია ტერიტორიული ორგანოს სახელწოდება. რომელიც გამოიყენება ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას. (დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ,მე-3 მუხლის მესამე პუნქტის „ზ” ქვეპუნქტი).

8. ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) ბორჯომის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – ქ. ბორჯომი);

ბ) ახალდაბის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – დაბა ახალდაბა);

გ) ბაკურიანის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია დაბა ბაკურიანი), სოფლები: პატარა მიტარბი, დიდი მიტარბი, თორი, ანდეზიტი);

დ) წაღვერის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – დაბა წაღვერი, სოფლები: მზეთამზე, ტიმოთესუბანი, დაბა);

ე) ბალანთის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბალანთა, ჭიხარულა);

ვ) ტაბაწყურის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტაბაწყური, მოლითი);

ზ) ტბის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტბა, ცემი,პატარა ცემი, სადგერი, ლიბანი);

თ) ციხისჯვრის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ციხისჯვარი);

ი) ყვიბისის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ყვიბისი, რველი, ვარდგინეთი, ზანავი, კორტანეთი, ბეშეთი);

კ) ტაძრისის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტაძრისი, საკირე, დგვარი;

ლ) დვირის ტერიტორიული ორგანო (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ჭობიხევი, ქვაბისხევი, დვირი, ჩითახევი ზორეთი).

თავი II
ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები

მუხლი 2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

1. მოქმედი კანონმდებლობით და თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის მიზნებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცება;

ბ) შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

გ) ამ დებულებით დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელება.

თავი III
ტერიტორიული ორგანოს მართვა და საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 3. ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი და მისი უფლება-მოვალეობები

1. ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობს თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული.

2. თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული (შემდგომ – რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

3. რწმუნებული თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) აწარმოებს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

გ) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისთვის გაცნობას;

ვ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;

ზ) მოქალაქეებზე გასცემს საქონელს ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;

თ) მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ, ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს, ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და გამგებლისათვის მათ მიწოდებას;

ი) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას ყოველთვიურად (საჭიროების შემთხვევაში თვეში 2-ჯერ) წერილობითი ფორმით წარუდგენს გამგებელს , მოთხოვნის შემთხვევაში საკრებულოს;

კ) ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას;

ლ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;

მ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

ნ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

ო) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

პ) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

ჟ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

რ) ასრულებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

ს. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. რწმუნებული თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია დაადასტუროს შემდეგი სახის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები პირების ცხოვრების ფაქტის დადასტურება (მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით);

ბ) საპრივატიზაციო საცხოვრებელ ფართში ცხოვრების ფაქტის დადასტურება;

გ) გარდაცვალების ფაქტი;

დ) არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეების თანაცხოვრების ფაქტი;

ე) სამოქმედო ტერიტორიაზე მაცხოვრებლების აქტი – დახასიათება.

ვ) საკრებულოს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის დავალების საფუძველზე, ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე ადგილზე დათვალიერების ოქმის შედგენა. შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში;

ზ) ფიზიკური და იურიდიული პირის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მდებარეობის ფაქტის დადასტურება შესაბამისი მტკიცებულებების მოკვლევის შემთხვევაში, მტკიცებულების არ არსებობისას უარი ფიქსირდება წერილობით;

თ) უძრავ ქონებაზე სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში – მტკიცებულებების არსებობისას ქონების დაუფლების და განკარგვის ფაქტის დადასტურება;

5. რწმუნებული ვალდებულია პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგინოს გამგებელს ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში;

ა) შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;

ბ) შესაბამის დასახლებაში პირების დაბადებისა და გარდაცვალების და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;

გ) შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;

დ) შესაბამის დასახლებაში დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ;

ე) იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;

ვ) ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობის და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშით, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

თ) სოციალური (ჯანდაცის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისგან დასაცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ი) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის ხელშეწყობა; (ქალაქი ბორჯომი, დაბა ახალდაბა, დაბა ანდეზიტი,სოფელი დვირი, დაბა ბაკურიანი).

მუხლი 4. ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეები

1. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები რწმუნებულის მიერ ფუნქციების განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ტერიტორიული ორგანოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

3. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან გამგებლის საკრებულოს და რწმუნებულის წინაშე.

თავი IV
ტერიტორიული ორგანოს ქონება და დაფინანსების წყაროები

მუხლი 5

1. ტერიტორიული ორგანოს მთელი ქონება წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

ტერიტორიული ორგანოს დებულებაში ცვლილების შეტანა

მუხლი 6

1. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება საკრებულოს მიერ.